# ბუნებრივი ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის ძირითადი იდეების შესახებ ერთი მაგალითის საფუძველზე

მ.ივანიშვილი, ე.სოსელია, ლ.ლეკიშვილი, კ.ფხაკაძე, გ.ჩანკვეტაძე, ლ.ტიბუა

ნაშრომში განიხილება ბუნებრივი ქართული ენის ერთი ფორმალურ-ლოგიკური სიმრავლურ-თეორიული მოდელი. აქ განვითარებული ხედვები საფუძვლად იღებს მონტეგიუსეულ სიმრავლურ- თეორიულ თვალსაზრისებს, რაც შეიძლება ითქვას, ანვითარებს მათ ქართულ ენობრივ ფორმალიზმში, რაც საბოლოო ჯამში იძლევა მონტეგიუსეულიდან პრინციპულად განსხვავებულ მათემატიკურ სიმრავლურ-თეორიულ მოდელს.